წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 114

განკარგულება

07/08/2019

მდინარე რიონზე არსებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების – ზარათისა და ოფურჩხეთის დამაკავშირებელი უსახელო ხიდისათვის მიხეილ ძოწენიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10 მუხლის მე–5 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის მე–13 პუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ზარათისა და ოფურჩხეთის დამაკავშირებელ მდინარე რიონზე არსებულ უსახელო ხიდს მიენიჭოს მიხეილ ძოწენიძის სახელი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელმაც 4 (ოთხი) თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო